ლელა სარალიძე

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და ევროინტეგრაციის საკითხი (XX საუკუნის 50-იანი წლები)

შესავალი

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსების და მეცნიერების საქმიანობის შესწავლა. ევროინტეგრაციის იდეის დამუშავების საქმეში მათ მოღვაწეობას, საქართველოს შემდგომი ევროპული პერსპექტივისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რკინის ფარდის მიღმა მყოფი, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ევროპაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს, მხარს უჭერდა ევროპის გაერთიანების იდეას და იმედით შეჰყურებდა იმ დროს, როცა საქართველო კვლავ დამოუკიდებელი გახდებოდა. ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები და მეცნიერები, თავდაუზოგავად იბრძოდნენ, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, ასევე, დასავლურ-დემოკრატიული იდეების დამკვიდრებისთვის. 1952 წლის აგვისტოში, პარიზში ოფიციალურად დაარსდა „ქართულ - ევროპიული მოძრაობა“. იგი, ისევე როგორც ევროპის ფედერაციის მოძრაობა, აპოლიტიკური, სხვადასხვა პარტიების გავლენისგან თავისუფალი ორგანიზაცია იყო, რომელიც განურჩევლად სარწმუნოებისა და პოლიტიკური მრწამსისა, ყველას აერთიანებდა. ემიგრაციული ჟურნალი „ბედი ქართლისა“ ამ ფაქტს ასე გამოეხმაურა: „როდესაც ევროპის მთლიანობის იდეა ხორცს ისხამს და მისთვის მებრძოლი ორგანიზაციებით მოფენილია მთელი დასავლეთი, ჩვენი მოვალეობა იყო თავისუფლება ართმეულ საქართველოს მაგიერ მისი ევროპიული სიტყვა გვეთქვა. ეს იკისრეს ჩვენმა წარჩინებულმა მეცნიერებმა და მათი ინიციატივით და დახმარებით დაფუძნდა ქართული ევროპიული მოძრაობა. მოძრაობის მთავარი დევიზი იყო: ევროპის ორიენტაცია, ევროპის ფედერაციაში უშუალოდ შესვლა, ამისთვის მუშაობა და ნიადაგის მომზადება. ორგანიზაციის წევრები ფიქრობდნენ, რომ დამოუკიდებელი საქართველო თავის ადგილს დაიკავებდა გაერთიანებულ ევროპაში, ეს ადგილი მას დამსახურებული აქვს, რადგან საქართველო მუდამ იყო დიდი ევროპული ოჯახის წევრი, ამ ოჯახის შემმენი და ამ ოჯახით მოსარგებლე...“ (სალია,1952:2-4).

მეთოდი

კვლევა დაფუძნებულია ისტორიულ-შედარებით და ემპირიულ მეთოდებზე, რაც საკვლევი მასალის კრიტიკულ ანალიზსა და გააზრებას გულისხმობს. გამოყენებულია საარქივო, პრესის მასალების, პოლიტიკურ მოღვაწეთა მოხსენებების დამუშავების კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი, პოლიტიკური მონიტორინგი, ბიოგრაფიული მონაცემების ანალიზი.

შედეგები

კვლევის მთავარი შედეგია, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსების და მეცნიერების ღვაწლის წარმოჩენა ევროპული იდეების დამუშავების საქმეში. აღსანიშნავია, რომ მათი თვალსაზრისი ევროპული ფედერალიზმის იდეების შესახებ, განსაკუთრებით საყურადღებოა დღეს, როდესაც მსოფლიოში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი ევროკავშირს დაშლით ემუქრება.

მსჯელობა და დასკვნა

ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი დიპლომატების ძალისხმევით, ქართული ლეგაცია (საელჩო) საფრანგეთში 1933 წლის ივლისამდე არსებობდა (სარალიძე, 2010/2011:383). 1932 წლის 29 ნოემბერს საფრანგეთისა და საბჭოთა მთავრობების მიერ ხელი მოეწერა თავდაუსხმელობის პაქტს. ამის შემდეგ, პარიზში საქართველოს საელჩოს გაუქმება გარდაუვალი გახდა (ჩხენკელი 2024:512-513). მართალია, 12 წლიანი არსებობის შემდეგ, პარიზში საქართველოს ლეგაცია დაიხურა, თუმცა საფრანგეთის მთავრობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური ცნობა უკან არ წაუღია. საელჩოს ნაცვლად პარიზში „ქართული ოფისი“ გაიხსნა. ქართველი პოლიტიკოსები საქართველოს ევროპული მომავლისთვის აქტიურად იბრძოდნენ.

ევროგაერთიანებაზე მსჯელობისას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ჟორდანია საუბრობს საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა მხრიდან არსებულ საფრთხეებზე და მიუთითებს ევროინტეგრაციის ერთ-ერთი მამამთავრის, ბელგიელი პოლიტიკოსის, ჩარლზ სპააკის (Paul-Henri Charles Spaak (1899-1972 წწ.) მნიშვნელოვან ინიციატივაზე. 1951 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში ნ. ჟორდანია წერს: „...ამჟამად შექმნილია სრულიად ახალი საერთაშორისო მდგომარეობა, რისი მსგავსიც არ ყოფილა ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ. დასავლეთი ამიერიდან გამოერკვია ბურუსიდან და დაინახა სინამდვილე. როცა პირველად აქ ჩამოვედით, ამ 30 წლის წინათ, ვინახულეთ პოლიტიკური მოღვაწენი, გავაცანით ჩვენი საკითხები. პასუხი იყო ყველგან ერთი და იგივე: თქვენი საქმე ჩვენ არ გვეხება, თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვისო. მხოლოდ ახლა შეიქმნა ნათელი მათთვის, რომ არც ერთ ერს არ ძალუძს გადარჩენა, როცა მათ გვერდით ამართულია საბჭოთა იმპერია და მათ ემუქრება... ცნობილი მეთაური სპააკი დღეს აწყობს ევროპის კოალიციას. საერთო ძალ-ღონით თავის დასაცავად შექმნილია საერთო სამხედრო ცენტრი... ეწყობა საერთო ჯარი... რუსეთს ჰყავდა ჯარი 165 დივიზია, ხოლო ევროპას 12 დივიზია. საკმარისი იყო სტალინის მიერ ომის გამოცხადება, რომ რამოდენიმე კვირაში დასავლეთი განადგურებულიყო. მან დააგვიანა და ახლა თავი ამოყო ჩიხში - მომზადებული მტრის წინაშე. ეს დაგვიანება აიხსნება შემდეგი გარემოებით: მოსკოვს ყველგან ჰყავს მეხუთე კოლონა, ე. ი. თავის თანამოაზრეთა ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ პოლიტიკური თავისუფლებით და ახდენენ კომუნისტურ გადატრიალებას. ამ ხაზმა ნაყოფი გამოიღო ბევრ ქვეყანაში და სტალინს ეგონა ამას ვერც დასავლეთი აცდებოდა“ (არქივი, ფონდი 2113:1).

სამშობლოდან შორს ყოფნის მიუხედავად, ქართველი პოლიტიკოსები იმედით უყურებდნენ საქართველოს მომავალს და მის ადგილს ერთიან ევროპულ ოჯახში მოიაზრებდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი 1951 წელს წერს: „...უნდა აღინიშნოს, რომ ერთი რამ, რაც აქსიომად არის აღიარებული ევროპის ხალხთა ფედერაციაა, როგორც საერთაშორისო კრიზისის დასაძლევი საშუალება და ამ ფედერაციის აუცილებელ ელემენტად მოწოდებული კი გერმანიაა. ჩერჩილის ციურიხის ცნობილი სიტყვა კაცობრიობის ხსნას ამ იდეის განხორციელებას უმორჩილებს და თუ არსებითად ეს აზრი საყოველთაოდ გაპიარებულია, სიბრძნის წყარო მის პრაქტიკულ განხორციელებაშია. ომმა მოსპო არა მარტო ჰიტლერი და მისი რეჟიმი, მან მიწასთან გაასწორა ნივთიერად, პოლიტიკურად და მორალურად თვით გერმანია... ვერსალის ზავი და ინგლისის სისტემატური საფრანგეთის საწინააღმდეგო პოზიცია სრულებით არ უწყობს ხელს დანაწევრებულ მოკავშირეთა ჰარმონიულ განწყობილებას. ამ დროს კი მოსკოვი ჩვეულებრივი სისწრაფით წინასწარ დაგეგმილ ზრახვებს ცხოვრებაში ატარებს. ცხადია, რომ მოსკოვის ანგარიშის განაღდება მარტო მასზე არ არის დამოკიდებული: უკანასკნელი სიტყვა ამ ორი ბლოკის ძალთა საბოლოო განწყობილებას ეკუთვნის... გაუგონარი ქარიშხლის მოლოდინშია ჩვენი პატარა სამშობლო. რას უმზადებს მას ხვალინდელი დღე? როგორ შეხვდება ის მოსალოდნელ ფათერაკს? განა შესაძლოა წარმოვიდგინოთ ქართველი ერის შვილი, სადაც არ უნდა იყოს ის, მსგავსი აზრები რომ არ უტრიალებდეს თავში და მოსვენებას აძლევდეს მას? ჭეშმარიტად, რომ ჩვენ ერს უდგას მთელი ტრაგიზმით ყოფნა-არყოფნის საკითხი. მიუხედავად ამისა, შორს არის ჩვენგან სასოწარკვეთილება. ამის მთავარი წყარო თვით საქართველოა. მრავალსაუკუნოდ მისმა ისტორიამ მოგვცა განსაცვიფრებელი სურათი. მოისპნენ საქართველოს ირგვლივ დიდი იმპერიები. დავიწყების სქელი ფერფლით მოცულია მის დამპყრობელთა და გამანადგურებელთა ხსოვნა. საქართველო მუდამ ცოცხლობს და აძლევს კაცობრიობას უტყუარ საბუთებს მისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცხოველმყოფელობისა. დღესაც, მიუხედავად ჯოჯოხეთური პირობებისა მისი გამძლეობა არ შესუსტებულა, მისი სული არ მომკვდარა. ვინც ფიქრობს, რომ დღიდან დაპყრობისა ქართველი ერის მაჯისცემა შეწყდა და ჩვენი ქვეყანა ეროვნულად ცარიელი ადგილი გახდა, მას ცხოვრების შეუნელებელი დუღილის, არც მისი გარდაუვალი კანონების არა გაეგება რა; მისთვის ჩვენი ერის ისტორიაც უცნობია...“ (არქივი, ფონდი 2121:1).

ევროპული იდეების დამუშავების საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართული ევროპაში მოღვაწე ქართველი მეცნიერები. ერთ-ერთი ალექსანდრე ნიკურაძე (1900-1981 წწ.) მიუნხენში კონტინენტალური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტის დირექტორი იყო. მისი ხელმძღვანელობით სერიოზული ანალიტიკური სამუშაოები ჩატარდა. მას ლექციების წასაკითხად იწვევდნენ პარიზის, ვაშინგტონის, ბერლინისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში. ის იყო ქართულ-ევროპული ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური მკვლევარი. 1951 წლის სექტემბერში, მან პარიზის ქართულ

სათვისტომოში წაიკითხა მოხსენება „ზოგადი სურათები ქართულ-ევროპული წარსულიდან“, რომელშიც გამოთქმულია ორიგინალური იდეები ევროინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით („ბედი ქართლისა“, 1951:32). მან, ასევე, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა, ევროინტეგრაციისა და „ევროპოლოგიის“, როგორც სამეცნიერო ინტერდისციპლინარული დარგის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ალექსანდრე ნიკურაძემ, ალ. სანდერსის ფსევდონიმით, 1951 წელს, გერმანულ ენაზე გამოსცა ნაშრომი: „ოცნებიდან ვიდრე საქმემდე“, სადაც ევროპული იდეების შესახებ საინტერესო დებულებებია ჩამოყალიბებული. ავტორის აზრით, „კულტურული კაცობრიობის ისტორია სამ დიდ პერიოდად იყოფა: 1. კონტინენტალური; 2. ოკეანური; 3. ატმოსფერული, ჩვენ დღეს ვიმყოფებით ამ ორი უკანასკნელის შუა. ეს ნათლად უნდა დავინახოთ, შევიგნოთ და ვიგრძნოთ და მაშინ იქნება შესაძლებელი ჩვენი მოქმედება დროის შესაფერისი გახდეს. გრძნობა სამშობლოსი უნდა გაძლიერდეს ევროპისათვის გრძნობით, რომელიც დღეს დიდ განსაცდელშია და ამით არის შესაძლებელი ევროპიელის ნაყოფიერი მოქმედება ევროპის დაცვისთვის და გადარჩენისთვის. დღევანდელი მსოფლიო განუყოფელია, მისი ნაწილები ისეა დამოკიდებული ურთიერთისგან კულტურულად და ეკონომიკურად, ყოველი მხრით, რომ მისი გაყოფა შეუძლებელია. ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა ურთიერთს წინააღმდეგობას კი არ წარმოადგენენ, არამედ განუყოფელი მსოფლიოს ნაწილებს, ორ პოლუსს, რომელთაგან ერთის არსებობა მეორეს პირობაა. ევროპის იდეა არის იდეა ახალი ცხოვრების წესისა, სახელმწიფოებრივისა და ეროვნულისა, ეკონომიკურისა და სოციალურისა, კულტურისა და პოლიტიკურისა - ევროპა მრავალფეროვანი ერთია. ამ მრავალფეროვნებაში ინახება ინდივიდუალობა მის ერთა, ხოლო გარანტია ამ უკანასკნელთა არსებობისა, განვითარებისა და დაცვისა დამოკიდებულია ყოველი ევროპიელისა და ევროპის ყოველი ერის „შინაგან ერთობაზე“ (ჯაფარიძე, 2019:55).

1952 წლის 22-24 სექტემბერს საფრანგეთში, ქ. კომპიენთან, „ლა ბრეგიერის“ სასახლეში ალექსანდრე ნიკურაძის ინიციატივით შედგა ევროპელ მეცნიერთა კონგრესი, რომელმაც მიიღო მისი წინადადება ტერმინის - „ევროპოლოგია“ შემოღების შესახებ (შარაძე, 1991:446). ევროპოლოგია გულისხმობდა ევროპულ მეცნიერებათა დარგების თავმოყრას და ერთ სწავლებად ჩამოყალიბებას. ალექსანდერე ნიკურაძე მიწვეული იყო ოქსფორდში გამართულ მეცნიერთა მსოფლიო კონგრესზეც. ევროპული იდეების საკითხები განხილულია ალ. ნიკურაძის შემდეგ ნაშრომებში: „ევროპის ჩამოყალიბების შესახებ: კონტინენტური ევროპა მითიდან დღემდე (1938 წ.); „გადაწყვეტილების საათები: ბრძოლა ევროპისთვის“ (1943 წ.); „აღმოსავლეთ ევროპა კონტინენტურ ევროპაში“; „კავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს ისტორიული მონახაზი“ (1942 წ.) („ბედი ქართლისა“, 1952:30).

სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილი ევროპის ფედერალისტთა მოძრაობის აქტიური წევრი იყო. იგი საფრანგეთში მიშელ მუსხელის სახელით არის ცნობილი (archives Institut Lebel, 037 H).

მ. მუსხელი გაერთიანებული ევროპის შექმნისა და განვითარების პოლიტიკურ ბაზისად, ფართო ფედერალურ საწყისებზე დაფუძნებულ დემოკრატიულ სახელმწიფოთა წარმატებულ ფუნქციონირებას მოიაზრებდა. ეს თეორია შემდგომში დღეისათვის არსებულ ევროგაერთიანებას დაედო საფუძვლად. ფედერალურ დემოკრატიაში მისთვის მთავარი იყო პიროვნების თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის უპირატესობა. მ. მუსხელის აზრით, ევროპელობა განისაზღვრება არა გეოგრაფიით, არა რასით, არა ენით და წეს-ჩვეულებებით, არამედ მისი სულის გარკვეული თვისებებით (სარალიძე, 2022:134). მ. მუსხელმა ერთიანი ევროპის იდეას მრავალი ნაშრომი მიუძღვნა, მათ შორის არის სადოქტორო დისერტაცია, რომელიც 1931 წელს პარიზის უნივერსიტეტში, ლუის ლე ფურის ხელმძღვანელობით, წარმატებით დაიცვა (Mouskhélichvily, (1931:2). ევროპული ფედერალიზმის საკითხებზე მიშელ მუსხელმა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა ქართულ და ფრანგულ ენებზე. ის იყო დაუღალავი ფედერალისტი აქტივისტი: საუნივერსიტეტო ფედერალისტთა კავშირის თანადამფუძნებელი, ევროპელი მეცნიერთა ასოციაციის პრეზიდენტი, ალტიერო სპინელის მიერ დაარსებული ევროპელი ხალხის კონფერენციის პრეზიდენტი და საერთაშორისო ვიცე-პრეზიდენტი, ევროპული სწავლების ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ალექსანდრე მარკის მიერ დაარსდა. იგი აქტიურად თანამშრომლობდა სამეცნიერო ჟურნალში: „L'Europe en formation", რომელიც 1960 წელს დაარსდა და პირველივე ნომერში მისი სტატია დაიბეჭდა. როგორც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, მიშელ მუსხელი თავის ნაშრომებში ოკუპირებული საქართველოს იურიდიულ სტატუსზეც საუბრობს (მუსხელიშვილი, 1954:16).

მ. მუსხელი ფედერალური ევროპის იდეისთვის ახალგაზრდებთან ერთად, აქტიურად იბრძოდა. 1950 წლის 6 აგვისტოს, 300 სტუდენტი საფრანგეთ-გერმანიის საზღვართან, სენტ-გერმანშოფში შეიკრიბა. ღონისძიება ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის მეორე სესიის გახსნასთან იყო დაკავშირებული. მათ მრავალი ფრანგი და უცხოელი ჟურნალისტი ახლდათ. გერმანელი სტუდენტების ჯგუფს გერმანელი პროფესორი მარსელ მილე (Marcel Mille), ხოლო ფრანგებს საუნივერსიტეტო ფედერალისტთა კავშირის პრეზიდენტი, სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი მიშელ მუსხელი ხელმძღვანელობდა. დემონსტრანტებმა ვეილერის (Weiler) საზღვარი გაიარეს, ბოლოს საფრანგეთის საზღვართან მივიდნენ. აქციის მონაწილეებმა საბაჟო პუნქტები დაწვეს და მათ ფერფლზე ევროპის დროშა აღმართეს. მიშელ მუსხელმა აქციის მონაწილეებს სთხოვა, ევროპული ერთიანობისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად ფიცი დაედოთ (Meyer (1950:7). აღსანიშნავია, რომ მ. მუსხელის ხელმძღვანელობით ეს ერთ-ერთი პირველი ევროპული დემონსტრაცია იყო, რომელიც შემდეგში ვიზალიბერალიზაციის საფუძველი გახდა. სტუდენტებს შორის, გერმანიის მომავალი კანცლერი, 20 წლის ჰელმუტ კოლიც (1930 –2017 წწ.) იყო (Defrance, 2022: 21-30; Kohl, 2004:76).

მ. მუსხელის მოღვაწეობის რეალური შედეგი 1957 წლის რომის ხელშეკრულება გახდა, რომლის მთავარ მიზანს ევროპის ერთიანი ბაზრის

შექმნა წარმოადგენდა. ეკონომიკური გაერთიანების წევრ სახელმწიფოებს შორის, საგარეო ვაჭრობისთვის, საქონლის, პირთა, ასევე, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებისთვის ბარიერები მოიხსნა. რომის ხელშეკრულების 50 წლისთავთან დაკავშირებით, ევროპელებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს მიშელ მუსხელის ღვაწლი და 2007 წლის 9 სექტემბერს, სენტ-გერმანშოფში, სადაც 1950 წელს, მ. მუსხელმა ახალგაზრდებთან ერთად ევროპული მარში მოაწყო, ევროპული მემორიალი აღმართეს. დღეს ამ ადგილს „ევროპისკენ მსვლელობის ადგილი“ ჰქვია (Les Dernières Nouvelles d›Alsace. 2007:4).

სხვა ევროპელ ლიდერებთან ერთად, მიშელ მუსხელი აქტიურად მუშაობდა იმ ინსტიტუტების ჩამოყალიბებისთვის, რომელმაც მოგვიანებით ეროკავშირის შექმნას ხელი შეუწყო. 1950 წლის 9 აგვისტოს, მიშელ მუსხელის ხელმძღვანელობით, 150-მდე ევროპელ ახალგაზრდა ევროპის საკონსულტაციო ასამბლეის შენობასთან შეიკრიბა. მათ ასამბლეის თავმჯდომარე, ბელგიელი პოლიტიკოსი, პოლ-ჰენრი ჩარლზ სპააკი (Paul-Henri Charles Spaak) მიესალმა. ახალგაზრდებს თან ჰქონდათ ბანერები წარწერით: „ჩვენ გვჭირდება ევროპარლამენტი შუმანის გეგმის განსახორციელებლად“; „ჩვენ გვჭირდება ევროპის მთავრობა თავდაცვის ორგანიზებისთვის“. ახალგაზრდა ევროპელებს ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე, უ. ჩერჩილი (Winston Churchill) მიესალმა. ევროპის სახლის წინ, რომელიც ჯერ კიდევ „ევროპულ ზონად“ ითვლებოდა, კიბეებზე მიშელ მუსხელმა და ჩარლზ სპააკმა, დელეგაციასთან ერთად ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს (Les Dernières nouvelles d›Alsace, 150:10).

მ. მუსხელის ინიციატივით, 1959 წელს, სტრასბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სსრკ-ს და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კვლევითი ცენტრი დაარსდა, რომელიც „მუსხელის ცენტრი»-ს სახელით არის ცნობილი (Saisons d’Alsace, 1970: 505-506). მას სიცოცხლის ბოლომდე მუსხელი ხელმძღვანელობდა. ცენტრმა საქმიანობა XX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში შეწყვიტა. 1961 წელს, აოსტის ხეობაში, ევროპული სწავლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორის ალექსანდრე მარკისა და ადგილობრივი ავტონომიური მუნიციპალიტეტის ინიციატივით, ფედერალისტური კვლევების საუნივერსიტეტო კოლეჯი დაარსდა. აღნიშნულ კოლეჯთან მ. მუსხელი აქტიურად თანამშრომლობდა. 1964 წლის 11 ივლისს, იგი კოლეჯის სტუდენტებთან ერთად ექსკურსიაზე იმყოფებოდა, რომელიც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა, როდესაც ფეხი დაუცურდა, მისი სხეული რამდენიმე ათეული მეტრის ქვემოთ ნაპრალში ჩავარდა და ტრაგიკულად დაიღუპა (Weill, 1964:184-186).

მ. მუსხელის მიერ ევროინტეგრაციის იდეისთვის ბრძოლაში შეტანილ ღვაწლთან დაკავშირებით, ჟურნალი “Europa Ethnica“ წერს: „ფედერალიზმი არის მიშელ მუსხელის სიცოცხლის მიზანი. მან მთლიანად მიუძღვნა თავი ამ კეთილშობილურ საქმეს... ხუთ ენაზე მოლაპარაკე მ. მუსხელი ფედერალურ გზავნილს თავისუფალი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, აშშ-იც კი დაუღალავად ატარებდა. ამ ქართველმა ემიგრანტმა, ასევე, დაამყარა

ძმური ურთიერთობა სხვადასხვა უმცირესობათა მოძრაობასთან, იბრძოდა მათი განთავისუფლებისთვის „ეთნიკური ევროპის“ ფარგლებში“ (“Europa Ethnica”, N4, 1964: 165-166). ევროინტეგრაციის იდეების დამუშავებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის გამო, საქართველოს მთავრობის წარდგინებით, 2022 წლის 13 დეკემბერს, მ. მუსხელი პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენით დაჯილდოვდა.

საარქივო დოკუმენტების, უცხოური პრესის მასალების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ემიგრაციაში მოღვაწე ქართველმა პოლიტიკოსებმა და მეცნიერებმა, ევროპელ ლიდერებთან ერთად, ევროინტეგრაციის იდეის დამუშავების საქმეში, მეტად ღირებული და ანგარიშგასაწევი წვლილი შეიტანეს.

მადლიერება: კვლევა [HE-22-239] დაფინანსებულია შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) მიერ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

მუსხელიშვილი, მ. (1954). ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის. *ბედი ქართლისა*. № 18. პარიზი.

სალია, კ. (1952). ქართულ-ევროპიული მოძრაობა. *„ბედი ქართლისა“*. № 13. პარიზი.

სარალიძე, ლ. (2010/2011). რუსეთ-საფრანგეთის 1932 წლის თავდაუსხმელობის პაქტი და ქართული ემიგრაცია. *ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები.* X-XI. თბილისი.

სარალიძე, ლ. (2011). ქართველი ემიგრანტი მეცნიერები და ევროპის გაერთიანების იდეა. *Caucasus Journal of Social Sciences*. 4 (1). Tbilisi.

სარალიძე, ლ. (2022.) მიხეილ მუსხელიშვილი და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის საკითხი. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: საქართველო და ევროპული ინტეგრაცია.* თბილისი.

ფონდი 2113. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. აღწერა 1. საქმე 128, ფურც. 1.

შარაძე, გ. (1991). *უცხოეთის ცის ქვეშ.* ტ. 1. თბილისი.

ჩხენკელი, ა. (2024). საქმიანი წერილები, საუბრის ჩანაწერები და სხვა ოქმები. მთავარი რედაქტორი ზურაბ გაიპარაშვილი. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.

ჯაფარიძე, ე. (2019). *ევროინტეგრაციის სათავეებთან: მიხეილ მუსხელიშვილი და ალექსანდრე ნიკურაძე.* თბილისი.

Defrance Corine. (2022). La rencontre européenne de la Loreley (été 1951). Le rêve d’une Europe de la Jeunesse. Presses universitaires de Rennes. France.

Information Locales, à côté de la session de l’Assemblée Consultative. M. Spaak adressé un vibrant appel à 150 jeunes Européens enthousiastes. (1950). Les Dernières nouvelles d’Alsace. 12 Aout. № 190. Strasbourg.

Kohl Helmut. (2004). Erinnerungen 1930-1982. Munich. Droemer.

Le Centre de recherches sur l’URSS et les pays de l’Est. (1970). Saisons d’Alsace. № 36. Strasbourg.

Meyer, R. (1950). La conspiration du dimanche a réussi plus de 300 jeunes européens, Les Dernières nouvelles d'Alsace, Aout, № 186; Strasbourg.

"Michel Mouskhély". (1964). ,.Magazine: "Europa Ethnica". № 4. Universität Verlagsbuchhandlung, Wien.

Mouskhélichvily, M. (1931). La théorie juridique de l'état federal. Thèse pour le doctorant, présentée et soutenue le mardi 3 mars à 14 heurs. Paris.

Service des archives Institut Lebel bureau 037 H, le dossier personnel de Michel Mouskhély. L'Université de Strasbourg.

Un mémorial européen. (2007). Les Dernières Nouvelles d'Alsace. 6 septembre, Strasbourg.

Weill, A. (1964). Michel Mouskhély (Mouskhélichvili). Bedi Kartlisa. № 45-46. Paris.

Lela Saralidze

GEORGIAN POLITICAL EMIGRATION AND THE ISSUE OF EUROPEAN INTEGRATION (1950s)

Abstract

This work sheds light on the contribution of Georgian politicians and scientists working in emigration to the development of ideas of European integration, based on the analysis of archival documents, as well as foreign and French periodicals. Georgian politicians and scholars working in exile, together with European leaders, contributed to the development of the idea of European integration.

The idea of European integration was first proposed by British Prime Minister Winston Churchill. In his speech in Zurich on September 19, 1946, he spoke of the need to create a United States of Europe, but the idea was not developed at that time. The beginning of European integration can be considered to be 1950, when French Foreign Minister Robert Schuman presented the initiative of politician Jean Monnet to unite the coal and steel fields of Western Europe.

The relevance of the topic is determined by Georgia's aspiration to become a full member of the European Union, which is the choice of the Georgian people and for which Georgian politicians and scientists have striven far from their homeland, in emigration. On May 26, 1918, with the restoration of Georgia's state independence, the Georgian people created a truly European state based on Western values. Based on the Act of Independence of May 26, 1918, on April 9, 1991, the European orientation was again defined as the orientation of the restored statehood. Moreover, the historical aspiration of the Georgian people towards Europe is defined by the Constitution. The European Community has been called the European Union since 1993, when the Maastricht Treaty, signed on 7 February 1992, came into force. It was from this period that the European Union acquired the functions of a political union, along with an economic one.

In the 31-year history of Georgia-EU relations, December 14, 2023, went down in history as the historic date of great significance. On this day, the 27 mem-

ber states of the European Union unanimously adopted a historic decision to grant Georgia EU candidate status. This issue has become even more important today, as relations between Georgia and the EU have entered a new phase. This EU decision has opened up a real prospect for Georgia, along with Ukraine and Moldova, to join the EU. Although the EU Council's approach to the three associated countries is somewhat differentiated, Georgia has a real chance of becoming an EU member, which opens up new opportunities for the country.

After the occupation and annexation of Georgia as a result of the Russo-Georgian War of February-March 1921, Georgian scientists and politicians, who were forced to emigrate from their homeland, tried not to lag behind the times. Emigrants behind the Soviet Iron Curtain actively brought Georgia's pain to Europe in order to convey to the world community their desire to unite Georgia within a single European family. Despite the contradictions caused by long-term emigration, representatives of various political parties operating abroad were united in their foreign orientation. They chose the European path, which was determined by Georgia's historical connection with European civilization.

In August 1952, the Georgian European Movement was officially founded in Paris, with Mikheil Tsereteli elected as its honorary chairman and Grigol Robakidze as its honorary member. The Georgian European Movement, like the European Federation Movement, was an apolitical organization, free from the influence of various parties, uniting everyone, regardless of religion or political beliefs.

The paper also examines the contribution of Georgian émigré scholars Michel Muskhélishvily (known in Europe as Michel Muskhély) and Alexander Nikuradze to the development of European ideas, which is still relevant today. While agreement on the creation of a common constitution in Europe remains unclear, great importance is attached to the draft of a federal European constitution by Georgian émigré scholar Michel Muskhély, which he created together with the French constitutionalist Gaston Stéfani in March 1948. Later (June 1948), the draft with similar content was written by the French law professor François de Menthon.

Keywords: Georgia, France, European integration, emigration.